

მეგობარი

საქართველო-ქვირაო გაზეთი

№ 1

1905 წლის ივნისი 1

№ 1

შინაარსი: თემი და ვრი, ივანე როსტომიშვილისა. — ვრი და კაცობრიობა, მისივე. — ისტორია მუშათა კითხვისა, მისივე. — სახალწლო ფეშქაშები, მეგლეისი. — ადამიანს (ლექსი), იზიძესი. — მესხიერება, ნ. ახმეტელაშვილისა. — სიმღერა (ლექსი) იზიძესი. — „დედა-ენა“ ი. გოგებაშვილისა, როგორც წარმართობის დამწერველი ჩვენს მოზარდ თაობაში და, ხალხში, დ-ისა. — გ. წერეთლის ხსოვნას (ლექსი), იალონისა. — წერილი სოფელ მუშას: — „ბრძოლა არსებობისათვის“, ტ. კრთმელაძისა. — ახალი საყმაწვილო ჟურნალი „ხაკალუი“, ბერი-კაცისა. — „მოგზაურს“ (სახალწლო), ნ. ფარეშიშვილისა. — ახალი განცხადება.

მ ი მ ი დ ა მ ი ი .

4669

მოგილოცავ, მკითხველო, ახალწედს, ახალ ცხოვრებას, ახალ იმედებს, ახალ საქმეებს, ახალ გზებს „მოგზაურს“. კარგათ ვიცი, რომ დღეს შენი ყოველი იმედი სულ ამ ახალ ცხოვრებისაკენ არის მიპყრობილი და, აი, „მოგზაურიც“, შეძლებისაკვალად, ეცდება თვალ-საჩინოდ გაგაცნოს ამ ახალ ცხოვრებას და მისკენ მიმავალ მახლობელ გზებსა...

ადამიანი გონიერი არსებაა, მარტოკასაც ბევრი რისამის დაძლევა და ატანა შეუძლიან, მაგრამ ბუნების სრულ მპყრობელად და ამ ქვეყნად ნეტარება-სიმართლის დასადგენად მას მხოლოდ და მხოლოდ მეორესთან, მესამესთან და მეათესთან, ერთი სიტყვით, სხვასთან შეერთებით, სხვასთან მხარისმხარის მიცემით, ამ წუთი ცხოვრების მძიმე ჰაზანწყვეტის საერთო გაწვევით შეუძლიან. ეს არის საფუძველი საზოგადო ცხოვრების განკარგება-წინსვლადობისა და ესევეა ის ნიადაგი, რომელზედაც უნდა აღზდგეს და განმტკიცდეს თვით ყოველი ჩვენგანი, ყოველი კერძო პირი, კერძო ადამიანი, რადგანაც, სხვა ვისგნით თუ არა ყოველის ჩვენგანით, ყოველის კერძო ადამიანით უნდა გაძლიერდეს და განკარგდეს თვით საზოგადოება, ვრი, კაცობრიობა... აი რატომ არის ძველათვე ნათქვამი: ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის.

იყო დრო, როცა შესანიშნავათ მძლავრი და ფხიანი იყო ჩვენში ყოველი ცალკე თემი, ცალკე ხევი, ყოველი ცალკე კუთხე ჩვენის ტურფა ქვეყნისა; მძლავრი იყო და ბატონიც თავის თავისა, თავის ყადრისა. აი იყო მხოლოდ ურთი-ერთობა და შეთანხმება ამ კერძოთა შორის, არ იყო ძმობა და სიყვარული მათ შორის, არ არსებობდა ძალა

მათ კერძო მისწრაფებათა შემკავებელი მეზობელ თემის უფლებათა გათელვის დრჩის. არ იყო და აკი თვითვე ამოიქამეს თავი...

ჩვენს ისტორიკოსებს რომ ჰკითხოთ, ჩვენის ქვეყნის სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაყოფა მიუტევებელი ცოდვა და განუკურნებელი ჰირი იყო საქართველოსთვის, მთავარი მიზეზი მის პოლიტიკურ სიკვდილია. მაგრამ ეს ასე არ არის: ჰირი და ვარამი იყო არა თვით დაყოფა ერთიანს სამეფოსი, რადგანაც, რამდენადაც მეტ თავისუფალ კერძოდ არის დაყოფილი რომელიმე ქვეყანა, მით უფრო კარგია ეს წინ-სვლისათვის (განისწენთ შვეიცარიისა კანტონებად და ჩ. ამერიკის რესპუბლიკის შტატებად დაყოფა), არამედ ის სამწუხარო ამბავი, რომ იმ დროს, როცა ჩვენნი მეფეები და მთავრები შინ სულ-გრძელად ითმენდნენ თვისთა ქვეშევრდომთა თავისუფლად ცხოვრება-მოქმედებასა, იმავე დროს, მათ ჰირივით ეჯავრებოდათ მეზობელ ძმა-მეფეთა თუ მთავართა თავისუფლად მეფობა-გამგებლობა და ყოვლის საშუალებათ ცდილობდნენ მათს დაღუპვასა და დასუსტებას, იმის მაგივრათ, რომ საერთო რჩევითა და შეთანხმებით განეკოთ, როგორც საკუთარი სამფლობელონი, ისე მთელი თავიანთი სამშობლო ქვეყანაც. ჩვენის ქვეყნის სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაყოფა ნამდვილი ევოლიუციური შედეგი იყო ჩვენის ისტორიულის ცხოვრებისა და ამიტომ ჩვენის ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენლებს ამ კერძოთა ამოფხვრახედ კი არ უნდა ეწყვიტათ თავი და ჯანი, არამედ და მხოლოდ მათს განმტკიცებასა ზედა, რადგანაც, როგორც ვისიქით, მხოლოდ და მხოლოდ კერძოს ძლიერებაზეა დამოკიდებული თვით მთელის ძლიერებაც. დიხ, ჩვენმა ხალხმა თავის დროზედ კარგათ შეიგნო, რომ აღ

გილობრიე თავისუფლად ცხოვრება გაცილებით უფრო უმჯობესი და სარგებელია, ვიდრე მთელ მრავალ-ფეროვან ქვეყანასთან ყველაფერში მონაწილეობა და განურჩევლად ერთად უღლის წევრ და აი გაიწია განზედ, რათა მოეწყოს ცხოვრება ისე, როგორც ამას საკუთარი მისი ქვეყანა ეძიებდა და ადგილობრივი ვითარება მოითხოვდა. საქირო იყო ყველას შეეგნო ეს და ხალხმა ავი შეიგნო კიდევ, მაგრამ ვერ შეიგნეს ეს თვით მმართველებმა და თავიანთი უნიდავო ქიშპობითა და ერთმანეთის ჟღერითა ამოკამეს თავნი თვისნი... ერთი სიტყვით, საქართველოს პოლიტიკურად დასესებით მომწყობებასა და დამთავრებასა მცირე-და აკლდა, რომ ჩვენ და სავალალოდ, სწორედ ამ დროს მას შეესწრო მონგოლთა ბნელი მპყრობელობა და საქართველოსაც უღროვოდ დაეშრიტა ძალა და ნიჭი-გონიერება...

დიდებული გვიმია დიდი მოურავი, გიორგი სააკაძე, დიდი უმაგალითო გვიმია იგი ჩვენს ისტორიაში, მაგრამ ქვეა ხელობს და გული გივდებდა, როცა იგი თავის და ქართველთა ხალხის ძალ-ღონესა, სპარსთაგან განთავისუფლების შემდეგ, სულ ამაოდ ჰხარჯავს იმის მოსპობაზედა, რის შექმნასა და მოპოვებაზედა ცხალხსა ჰენიას უკვე მრავალი ჰქონდა ნამსხვერპლი. სპარსთაგან განთავისუფლების შემდეგ, დიდი მოურავი, რომ საუკუნოებით დაკანონებულ სამეფო-სამთავროებისა და მათს მეფე-მთავრების ერთხელ და სამუდამოდ მორიგებასა და მათს შორის მკვიდრის კავშირის დამყარება-კანაქტიკებას ცდილიყო, დარწმუნებული ბრძანდებოდა, რომ საქართველო დღესაც ცოცხალი იქნებოდა... მაგრამ ჩვენ და სამწუხაროდ თვით დიდმა მოურავმა ვერ გაიგო სად იყო მთავარი მიზეზი საქართველოს დაცემისა და ავი ამითაც ჩაუარა ყოველმა ცდამ.

იმას ვერ წარმოედგინა, რომ ერთობა და ძმობა ადვილად შესაძლებელია იქაც, სადაც ათი და თუნდა ოცი და ორმოცი მთავარი და სამთავროა, თუ არსებობს მათში მორიგებული კავშირი... ერთობას იგი მხოლოდ ერთის მეფის სკოპტრის ქვეშ ხედავდა, მაგრამ როგორ მოსტყუვდა—მის ღვაწლთა ამოცემა გვიჩვენებს...

ყოველის მკვიდრის ვალია ყოველის საშუალებით ისე მოაწყოს თავისი თუ საზოგადო ცხოვრება, როგორც მოითხოვს ამას ადგილობრივი ვითარება და ყოველის საშუალებებითა უწინაღუდგეს გარეშე ძალ-მომრეობას, გარეშე ვითარება მიზეზისათვის მისის პირადის ბედნიერების შეწირვას... როგორც სწავლა-აღზრდის მთავარი საგანი თვით მოსწავლე და მისი პირადი ბედნიერება, პირადი განკაცება, რისგამოც სწავლა-აღზრდაც სასტიკათ ინ-

დივიდუალური (პირადული) უნდა იყოს, სწორედ ასევე, ყოველის საზოგადოების, ერის და კაცობრიობის არსებობის საგანი უნდა იყოს ერთად ერთი, სხელდობრ: ყოველს კერძო ადამიანის, დიდია იგი თუ პატარა, ქვეინი თუ უმეტარი, გამრჯე თუ ზარმაცი—ბედნიერება, ნეტარება, გააღამინება. ეს კი ყველაზედ უკეთ მხოლოდ და მხოლოდ ერის სათემო თვით მართველობათა ერთობით შეიძლება. მაშ გაუზარჯოს თემს და მის ურთიერთობას სხვა თემებთან განურჩევლად წოდებისა, მღვამარტობისა, რჯულისა და ეროვნებისა!..

ივ. რასტკამაშვილი.

მკი და კამობრიობა.

რამა საბოლოო მანაინ მსოფლიო იცოცხლის, რამა სიმართლე და ჭეშმარიტება ამ ქვეყანა? მასუხი ერთია: სუფაველთა ბედნიერება-ნეტარებაში, სუფაველთა სრულ-ყოფასა და ჭარმინაში. რით და როგორ უნდა მიაღწიოს უფაველმა ჩვენთაგანს და თვით მთელმა კაცობრიობამაც ამ, თვით ბუნებასაგან ჩვენს სულსა და გულში ჩანერგავს ბედნიერება-ნეტარებას და ჭარმინას-სრულ-ყოფას?—რითა და იმავე უფაველის ჩვენთაგანის და კაცობრიობის საერთო ძალ-ღონისა, მისი უფაველი სიღრმე-სიკანის შეგება-თანხმობის ამ ერთის სიმართლისა და ჭეშმარიტებისავე მიმართეთა!..

ადგილის კურდღელს, ადგილის მწკარი დაქსნოს, — უთქვამს ჩვენს ძველებს. ჩვენი დედამწის ბურთავ, თავის უფაველ წარტილავ, ისეთს უფაველ განსწავებულს ადგილებს წარმადატებს, რომ მათი მოყვანა სრულ-ყოფასა და ჭარმინაში მხოლოდ ამ ადგილებში მცხოვრებ ერთ შეუძლიანთ და ამიტომ ერთხელ და სამუდამოთ უნდა აღარებულ იქმნეს ადგილობრივ ერთა უფაველი ბუნებრივი უფაველ, ე. ი. უარ-უფაველ უნდა იქმნას, რომ გორდ ძლიერ ხალხთაგან სუსტების ჩაგვრა და თელვა, ისე მთელის კაცობრიობისაგან ცავეკ ერთა შექმნა და ჩაყლაჭვა. ამამა ბუნებრივი დამოკიდებულობა ერთა და კაცობრიობის მონის და ჩვენც მარტო ასეთს დამოკიდებულობას უნდა ვუშაღდეუ სათაყვანო ფიანდახსა...

უფაველმა შეგნებულმა წევრმა ერთსამ და კაცობრიობისამ სმა-მადლა უნდა აღაროს შეძვეცი ორი მტნება:

1) მიყვარს მე კაცობრიობა და თაყვანსა ვცემ მე მას, რადგანაც მარტო-მარტო იგია ის მესსია, რომელმაც უნდა მიხსნას მე და ჩემი ერი ხალხთა ურთიერთ კამიოობისაგან! და

2) მიყვარს მე ჩემი ერი და თაყვანსა ვსცემ მე მას, რადგანაც მარტო-მარტო იგია ის ძალა, რომელიც მოწოდებულია თვით ბუნებისაგან მისგან საუკუნოებით დაკავებულის ცხოვრებისა და ადგილობრის სრულ-ყოფისათვის და მით თვით მთელის

კაცობრიობისა და მსოფლიო ცხოვრება-პარმონის განმტკიცება-წარმატებისათვის.

დაინ, როგორც შეუძლებელია ხსნა კაცობრიობის გარეშე ცალკე ერთა არსებობა-წარმატებისა, სწორეთ ასევე შეუძლებელია ხსნა ცალკე ერთა გარეშე კაცობრიობისა და ასევე მუშათა და სხვა უოველ-გვარ კითხვათა გარეშე კაცობრიობისა და ერის ხსნის კითხვებისა...

რათ უნდა გვიფარდეს ვეგლას თავისი ერთა, ენა, ხე, ჩვეულება და შედგრათა ვინავედო მათ სხვებისათვის, ჩვეულებისა და მოსწონისათვის?—რათა და იმით, რომ ძალიან ადვილათ შესაძლებელია, როგორც ამის ისტორიაც გვიმტკიცებს, რაც დღეს ვეგლას იმეროსს და ჭეფლოსს და, მასთანავე, ჩვენს ხალხსაც, — ერთს მშვენიერს დღეს თვით ეს მხარობელი დაეცეს, კატრეს და მამინ რაღა გვეშველება ჩვენ, რადის მაქნისებო ვიქნებით, ხომ ზამთრისთვის მეტი აღარაფერი შეგვრჩება ხელში, თუ ვეგლაფერში მინურათ სხვისი საუფვის შემთავისებლები ვიქნებით და თავისისა კი უარის მყოფენი! არა. სხვისი უოველი, ენა იქნება ეს, თუ სწავლა, ჩვენ მხოლოდ იმისთვის და იმდენად უნდა შეეითვისოთ და მივიღოთ, რამდენათაც ეს დაგვემარება ჩვენ თვით ჩვენი ხალხის სასარგებლოთ სხვისის რასამის გადმოღება-გამოუყენებში და არა იმისთვის, რომ უოველი ამით თვით ჩვენ მოვასწინოთ და გადაგვარდეთ... თვის ხანგრძლივ ცხოვრებაში ჩვენს სამშობლოს, საქართველოს, უხალისი დამოკიდებულება ჭკბნდა ბაბალონელებთან, ასირიელებთან, სპარსებთან, სირიელებთან, რომაელებთან, ურბებთან, არაბებთან, თურქებთან, მონგოლებთან და უოველ ასეთს დროს, რომ ჩვენ უოველი იმით მიგველო და თავისი კი დაგვეოწო, ხელა ხრომ ჩვენი სხსისებულები აღარ იქნებოდა ჭკუნი! მაგრამ ღვთათ, ჩვენი ძველები კარკათ ესმოდათ, სად უნდა თავლებოდეს კადრი და ზატრები სხვისი და სად თავისისადა... ჩვენი ძველები თავადამ ფეხებამდის როდი თვისებოდნენ თავ ანთ, დღეს ერთსა და ხვად მერე, მიკობელსა?...
აქ არის უმთავრესი შედგომი ვიწრო კოსმოპოლიტთა და ეროვნებათა მოძულეთ! კოსმოპოლიტობა სარწმუნოა მხოლოდ როგორც საერთო, საქვეყნო ფედერაცია (კავშირი) და არა როგორც სხვა ვეგლაფერის ერთის აღმნიშვნელი საკენ მიმართული ძალა...

თვალ-სახინო მკალდით მსოფლიოს ფედერაციის საჭიროებისა წარმოგვიდგენს დღევანდელი სისხლის ღვრა რუსეთ-აშშ-ის შორის, რაზედ ვიდუხავო თავს, რაზედ ვიწვეტათ ერთმანეთსა, რაზედ ვაქრობოთ მთელი საუფუნოებით მამა-პაპათან დიდის ტანჯვითა და გაყობით შეძინდეს ქონებას? დროა, დრო მთავრყოფთ ერთმანეთის მტრობა, მხეცურა აშარტყენება, ზეობა! დროა შევიერთოთ და გავიგოთ, რომ ვეგლას, დიდი და ზატრა, მილიონ-რინგეოვანი ერნიც და ათას-რინგეოვანნიც, ვეგ-

ლანი აღმანები ვართ, ვეგლას ერთმანათ გვეყურა სინცოცხლე, ბუნების სიმშვენიერთ დატკობა, შეიღების, თუახისა და მუხობლების საიმოვნება-სინცოცხლის ცქერა! დროა შევუვადოთ დღევანდელი ერთმანეთისა და პერობა-დამორჩილების აზრი და მის ადგილას გავამოფოთ ჩვენს გულში ყველის უფლება. მსოფლიო ერთა და ჩვენც ერთი და-მჭური მსოფლიო სახელმწიფო ვიკმართოთ საკავშირო წესით მთავრობო და მოწოდებო, რომლის დედა-ქალაქში, თუნდა, ვსთქვათ, კონსტანტინოპოლში, იმყოფება მთელი კაცობრიობისა და ვეგლა ხალხების საერთო გამგეობა. წვერებად აქ უნდა წარმოგზავნილ იქმან ვეგლა, სულ შემირებს, ხალხებისათვის კი, რამდენ-რამდენიმე კაცი და ქალი, რომლებიც არჩეულ უნდა იქმნენ ამა ხალხების საერთო გამგეობათან, სადაც ასევე თანაწირობით გამგებლობენ კაცები და ქალები. მსოფლიოს საქმეებს გარჩევენ და გადაწყვეტენ, ვეგლასთვის საკადრებულად, მსოფლიო გამგეობა, ხოლო ადგილობრივ ხალხთა საზიარო საქმეებს გადაწყვეტენ ადგილობრივი გამგეობა. მორჩა და გათავდა. ადარეც იმე და ადარეც ის სიმძულელი ერთა და კლასთა შორის, რომელიც ახლა გვიძულებს ვეგლას ერთმანეთის უბედურებას!.. კაცობრიობისა, ერთა, მუშათა და სხვა ვეგლა კლასთა საბოლოო ვალი ეს არის და მისკენ უნდა იფოს ვეგლა ჩვენი ცდა და დონე მიმართული... ოცნება და უტრობაა არა, მკითხველო! იქნება ასეც იფოს, მაგრამ ჭკუშარტყება კია და ამიტო მ დიროსიც სამსახურისა და თავდადებისა...

ივანე როსტროპოვილი.

ისტორიის მუშათა კითხვისა.

(მ. სობოლევის წერილიდან).
მუშათა კითხვა არის კითხვა მუშების ეკონომიკო და სოციალურ მდგომარეობის შესახებ და ამ მდგომარეობის გაუკეთესობაზე. მუშათა კითხვა წარმოსდგა მას მერე, როცა დაიბადა თავისუფალ მუშების კლასი, დაახლოებით მე-XV—XVI სუფუნებში, როდესაც თვალ-სახინოდ დაეცა აშქრული ხელისნობა ევროპაში. წარმოსდგა ეს იქიდან, რომ უსაქმოდ დარჩენილი ქარტლები იძულებულნი გახდნენ უოველ დღე გამოსულიყენენ ბაზარში სამუშაოს სძებნულად. ქარტლების ასეთი გაჭირვებული მდგომარეობა გამოიწვია ამ გარემოებაში, რომ აშქრის ხელისნობა იმის შიშით, რომ ხელისნობის სიმრავლემ და მათ შორის ქაშიზობამ (კონსუერენციამ) არ დასცნენ მათი კეთილ-მდგომარეობა და თვით ხელისნობაც, შემოადგეს მეტის-მეტათ სძმობი პირობები ქარტლებისა და გარეშე მუშათა ხელისნობად მიღებაში, მაგ., შემოადგეს დიდი სასყიდელი, დაადგინეს დიდი დრო ხელისნობის სწავლებისათვის, ხანგრძლივი მოგზაურობა ქარტლების ხელისნობაში დასწავლებისათვის, რადაც დიდს ხარჯს თხოულობდა და, მამასდამე, სუფულას არ შეეძლო შექსრულებისა ეს პირობა; შემოადგეს ძვირფასი გამოსცდა-

ლი ნოვთების წარმოდგენა ამქრის გამოსცდელ კომისიაში და, დასასრულ, შემთავის შემკვიდრუბით ხელსწინების ტადეუმ მამადი შეიღებულ, ანუ მათს სიძქებულ და გარდაცვალებულ ხელისუბის დაჭირებულ ცალკების ქმრებსულ. ასე იყო სექტე მე-XVI—XVII საუკუნეშიდის, როცა საამქრო ხელსწინების და ხელსწინების მავგროთ ვრცელდობა შინად-მრეწველობა, რომელმაც გამოიწვია ქალაქებში ვაჭარ-კანციალასტუის დაბადება; უკანასკნელნი ვადულობდნენ შინად-მრეწველობა შათს ნაწარმოებებს და ამ გვარად ხელში იგდეს შინად-მრეწველნი და სხვაგვარად ხელსწინების. ბოლოს ამ ვაჭარ-კანციალასტუის უფრო სარფლად დაინახეს, რომ თათი აკეთონ მანქანების შემწეობით დიდს სხველოსნობაში ურეკა ის, რასაც ამქრის ხელსწინები და შინად-მრეწველნი აკეთებდნენ და ამ გვარად მუშათა კლასის ახლა თათი უსაქმით დაჩენილი ხელსწინები და შინად-მრეწველნიც. მიუმტრენ.

ასე ურეკა ასეთი და სხვა მისთანა გარემოებანი იყო მიხეცნი, რომ ქარვლები რჩებოდნენ დღიურ მუშებად და ამ გვარად დაბადა ამათგან მუშა კლასი, რომელთ ინტერესი სრულად წინააღმდეგი იყო მოქარაზნობა ინტერესებისა. მუშების ინტერესი ითხოვდა, რომ მათ მეტო ხელ-ფასი მიეღობ და ითითან შრომის ზარობანიც სუკეთესო უოფილიყო მათთვის, ხალხო, ზარიქით, მთქარაზნობა ინტერესი თხოვლობდა, რომ რაც შეიძლება ნაკლები ხელ-ფასი მიეცათ მუშებისათვის და თუთ საშუალო ზარობებიც ხელ-სურელი უოფილიყო მათთვის. მოხსებულ მიხეცებს, რომლებმაც დაბადეს მუშათა კლასი, შემდეგ საუკუნეებში მოემტა შემდეგნიც: მუშების კანთავისუფლება ბატონებისაგან, უმამულოდ დაჩენილ კლკებთა გამარჯვება, მსხვილ მრეწველობის გავრცელება და მანქანების შემთავება-გამოგონება. მე-XV საუკუნეშიდ, ჟურ ინგლისში და მერე გერმანიაში იწყება უმიწა-წოდოდ კლკების გამარჯვება. უმთავრესი მიხეცა ამისა იყო: მუშების კანთავისუფლება ბატონისაგან უმიწა-წოდოდ, დადრონი მამულების კანციალასტუის რამდენიმე გვარის ხელში მათარტობით, უზომო მთარულობა შემამულოთა, უზომო გადასახადები და დაღები შემამულოთა და სახელმწიფოს სასარკებოდ, რაც მძიმე ტრითად აწებობდა კლკებთან და აძულებდა მათ საშუამოდ ხელი ადოთ მიწის დამუშავებაზე და გადასახებულად იყვნენ ქალაქებში და სხვანი. აქ მოხსენებულ მიხეცებში და გარემოებებში ფრად აჩქარეს მუშათა კითხვის გამარჯვება. რავითანამდროვე მუშას არა აქვს საკუთარი საშუალება წარმოების, რომ შიმშილით არ მოგვეს, იგი იძულებულია გაჭვიდოს თავისი საშუალო ძალა, ე. ი. დაუღებს მუშად იმს, ვისაც აქვს საშუალება წარმოებისა, ე. ი. კანციალასტუის, სოლო რადგანაც მუშები მრავლად არიან და ურეკა მათგანი მიმურ მკვლასავით დაწროლის საშუალოს სიმბნულად, კანციალასტუის ხშირად სულ უკანასკნელად-

დას ამტრებენ საშუალოს ხელ-ფასს. მუშის ასეთი დამოკლებულობა კანციალასტუე კადეკ იძენად სჯარნობა ბელი არ იქნებოდა, რომ მუშების რამე კავლენა და ხმა ჰქონდესთ საქმის წარმოებაზე და არც მუდმივ შიმში იყვნენ, რომ დღეს თუ ხვალ ისინი უმუშაობის თუ წარმოების ბატონის ზარადი სურვილის გამო ამ მტრედების ბატონის ზარადი სურვილის გამო ამ მტრედების ხელ-ფასსაც არ დაჭირებენ; ეს არის მთავარი მიხეცა, რომ ხელ-ფასსაც არ დაჭირებენ; ეს არის მთავარი მიხეცა, რომ მუშების არ მუშაობისთ გულ-დამკვლავით იყვნენ თავიანთ ცხოვრება-არსებობაში, აკითხუფობის და სიმერის დროს, როცა ესენი მშობერ-მწვერვალნი უნდა დახობდნენ ასე ქალ-მომქმედ სახოგადობით ტრითი განხენ. დამატებით ის გარემოება, რომ უოკელი მწარმოებელი; კანციალასტუის შიშით და საქონლის უკანასკნელადის გათფუკერინის შიშით და საქონლის უკანასკნელადის გათფუკერინის თუ მეტის გამიდარების სურვილით, მარად იმის ბისთვის თუ მეტის გამიდარების სურვილით, მარად იმის წინააღმდეგ, რომ საუკეთესო მანქანები შემთავობს თავის წარმოებაში და ამ ცხით შეამტროს მუშათა რიცხვი. ცნობილია, რომ ასეთი მანქანების გამოკლებების დროს ათი და ასი ათასი მუშების უოფა-ცხოვრება ხშირად სამდვილ სახალხო უბედურად ქვეყლა. ასეთვე საშუალო გავლენა აქვს მუშათა კეთილ-მდგომარეობაზე კერედ წოდებულ კრიზისებს, რომლებიც აფერხებენ დამუშავებულ საქონლის გასაღებას, იწყებენ მრავალი მწარმოებლის სრულიად გატარებას, წარმოების შემცირებას და ხშირად სრულიად მისწრაფებას ამა თუ იმ წარმოებისას, რის გამოც მუშები რჩებიან უსაქმოდ. დიდი და მწვავე ადგილი უმთავრეს მუშათა კითხვაში საშუალო დროს სიდიდესაც. სადაც ჟურ კადეკ გავრცელებული არ არის საქარნობა წარმოება, საშუალო დღე ძვირ ტრქლავა. დიდები და მათთან ერთად ბატონებიც მუშაობენ 14—15 და ზოგჯერ 16—18 საათსაც დღეში. დიდი კავსწორებელი ვსიბო მოაქვს მუშებისათვის გასასუფრებობით დამითი მუშობისა. რაც უნდა კარკათ და ჰოციესურად იუთს მოწეობილი და მით მუშათა, იგი მანც ბუნების წინააღმდეგია და ამატომ დადათაც მანებელი მუშების ჯანსაღობისათვის, რადგანაც ასეთს მუშის დრო არა აქვს საშუალო შესვენებობა და მხეხედ უოფიით რამოდენადმე აინახადურთს ხერგების და სხუელის დასაკარკები, ცხროხოს რამოდენადმე თავისი გონებითი კანკითარებისათვის, დასტკებს აჯახურის ცხოვრებით, შეულები აჯერით და აღზრდით, მათთან თამბობით და სურნობით. დამატებით ურეკა ამის ის საშუალო ამბავი, რომ შენობანი და ადგილი, სადაც მუშები მუშაობენ, მომეტებული სქითხეუფაში, ფრად ახტისხიბტრუფა — მთავებულია მხის ცხოველ სხივებს, სისუფთავეს, სინჯლათეს (ზოგან ისე შენობა გამოჭედლი მანქანებით, რომ კანსავალი გზადარ არის); მუშები მთავებულიან არან ხერობის სადგომებს და ხერობის საჭმელ-სსმელს; ახლ წარმოადგინეთ ამების სიძვირ დიდს ქაჭქებში და მათი თითქმის სრულიად უმეხელობა სოფლებში, ქალებისა და კანცების ერთად

მუშაობა, რომელიც იწვევს მათში სხვა-მთავრად კავშირს და ნათესავად ქალაქსა ზაგრაში, მოკლებულნი სოფლებსა ლეონსა, ალკანტარას, — და თქვენი ნათესავი წარმოადგენს მუშების სამწესრო მდგომარეობას ასეთს ვითარებაში.

მუ-**XVIII** სუგუნიდში მუშები ნელ-ნელა იღვიპნ გრძობას და შეეცაბნ სურთო ინტერესების და აქ-აქ არსდებამ მუშების კავშირები. მაგრამ ასეთი კავშირების დაარსებას ძლიერ ხელს უშლიდა მასწავლებელი განმარტებლობა, რომელიც სსსტკათ უგრძობადგა მუშების შეკავშირებას რაიმე სურთო მიზნისათვის. ეს იყო მიხეცია, რომ მუშათა კავშირები იძულებულნი გახდნენ უმოქმედნათ სიბრძნით და ამას მოჰყვა ხშირი უწყობიანობა სოფლებსა, ინტელისს, პრუსიას და სხვანაირ. მუშები თვალ-საზიარით მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე 1830 და 1840 წლების რევოლუციებში, მაგრამ არა როგორც დამოუკიდებელი რამე ძალა (ამათვის მუშათა კავშირები ჯერ კიდევ არ იყვნენ მომზადებულნი), არამედ როგორც მოკავშირეები ბურჟუაზიისა, რომელიც იბრძოდა პოლიტიკურ უფლებათა მოხაზუბისათვის.

მუშების ბირველ დამოუკიდებელ მოძრაობად ითვლება ესრედ წოდებული ჩარტიზმი (ინგლისში) 1837—1848 წლებში. იგი მთლად მუშების საჭიე იყო. მასში ბირველად განცხადდა სრული წინააღმდეგობა შრომისა და კანტაქლის ინტერესებს შორის, გამოხატულად მუშების მისწრაფება თვისის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, საზოგადოების ეკონომიურ წეს-წყობილების შეცვლისა და სხვა. მაგრამ ჩარტიზმის მოძრაობაში მანერ ჯერ კიდევ გარკვევით არ იყო გამოთქმული მუშების სოციალ-ეკონომიური ბრძოლა. ისინი მარტო იმას თხოულობდნენ, რომ მოაწრობას მოეხდინა რეფორმა ხალხის წარმომადგენელთა წაწველაში. სულ სხვას ვხვდებით შემდეგ ხანებში. 1825 წელს ინგლისში მოხსენი განხილ მუშათა კავშირების აჯანყების შესახებ, ხოლო 1864 წელს საფრანგეთში და 1867 წელს—გერმანიაში. მუშათა მოძრაობაში ამას მერე გარკვეულად გამოვლენდა ორი მიმართულება— ეკონომიური და პოლიტიკური და 1810 წლებში დაარსდა მუშების საერთაშორისო კავშირი. სახელწოდებით „კავშირი მართალთა“. რომლის ცენტრალური გამკვობა იყოფებოდა ლონდონში; მაგრამ მალე ეს სახელი შესწავლეს „კომუნისტების კავშირად“ და მიიღეს თავისი ბრძოლაში მარქსისა და ენგელისის მიერ გამოცემული „კომუნისტების მანიფესტი“ (1847 წ.). კავშირმა იტარებდა სულ რამდენიმე წელიწადი და მისი ბოლო 1852 წ., ხოლო 1864 წელს დაარსდა „საერთაშორისო მუშათა საზოგადოება“. რომლის მიზანი იყო შეერთება მთელი დედამიწის მუშებისა. ამ საზოგადოების წევრად სხვათა შორის იყო ცნობილი მიხეილ ბაკუნინი, მაგრამ იგი მალე დაითხოვეს ამ საზოგადოებაში და მან 1865 წ. დაარსა „საერთაშორისო სო-

ციალ-დემოკრატიული კავშირი“ ანტიქულის სასათისა...

1880 წლიდან იმართება ზერიოლიული კონგრესები მუშების, რომლებზედაც ირგვევა კითხვები მუშების მდგომარეობისა და მოქმედების შესახებ. ბირველი ასეთი კონგრესი გაიმართა ზარაში 1859 წელს, მსოფლიო გამოფენის დროს. აქ გადასწავდა, რომ განმარტებლობამ შეიძლოდა უგულვან 8 საათი მუშაობა დღეში და 1 მისია ადარეს უგულვ ქვეყნების მუშების სურთო უქმედ და დღესასწაულად.

მუშათა კითხვის შესახებ მწერლობაში სხვებზე ადრე ხმა ამოიღეს თავისუფალ გაცნობის წარმომადგენელთა ინგლისში. ესენი ირგვენი არსებულ ეკონომიურ წეს-წყობილებას, თავისუფალი კონკურენციით და კერძო საკუთრებით. ამათის ზრით, არსებობს არავითარი კითხვა მუშათა და თუ არის სადმე მძიმე მდგომარეობა მუშებისა, ეს წარმოსდგება მხოლოდ საქონლისა და მუშათა ხელის მოთხოვნილების უთანასწორობისაგან, რაიცა თვით მოისწავს, რაიცა სახსრებით განხორციელდება დედამიწის თავისუფალ კონკურენციისათ. უმთავრესი მიხეცია არსებულ ნაკლებულებათა მუშების მდგომარეობაში, მეტადრე სამუშაო ხელ-ფასის სიმცირეში, მუშების მეტის-მეტად გამარჯვებას, რაიცა სრულიად არ შეესაბამება საზოგადოების ინტერესებს. მომართება მუშათა ხელ-ფასისა და გაუმჯობესება მუშათა მდგომარეობისა შეიძლება ამ ხანებში გადადებით, სადაც მუშების ექვლათ მათი სასიდიდელი და ანუ მუშათა ხელის მოთხოვნილების შეცვრებითა. ეს უკანასკნელი კი სახსრებით დამოკიდებულია თვით მუშებზედა, რომლებიც დიდის სიფრთხილით უნდა ეკიდებოდნენ ცალკეობას და მრავალ შეიძლიანობასა რაცაგანც, ამათის ზრით, არსებული ეკონომიური წეს-წყობილება, თვით საკუთარი ბუნებრივი განხილვის ძალით თავის-თავად მიკვირებს საკუთარს მერმისისა და წეს-წყობილებას, ამიტომ ეკონომისტების მიმართულებას წინააღმდეგნი არაან სახელმწიფოს და საზოგადოების უგულვ გარ აქტიურ ზომების მუშათა კითხვაში, როგორც, მაგ., საქონლი განმარტებლობისა, მუშათა დახვეწისა, მათთვის სადგომების აშენებისა და სხვა. სახელმწიფოთ, ამბობენ ესენი, მარტო იმას უნდა ცდილობდეს, რომ დიდებს კერძო საკუთრება და ბრძოლა და განუსწორდეს ეკონომიური თავისუფლებათ.

სულ სხვა გვარად უნდა იყოს მუშათა კითხვის სოციალიზმი და მათი წარმომადგენელნი—როდებრტუსი, მარქსი და ენგელსი. ამათის ზრით, ძირითადი მიხეცია მუშათა მდგომარეობის უგულვ ნაკლებობა წარმოსდგა სრულ განკურძობისაგან მომუშავეთა და წარმოების საშუალებათა, რისგანმაც მუშები იძულებულნი გახდნენ მიხეილთ თავიანთი შრომა მიწარმოებულ-კანტაქლისტებს, რომლებიც, როგორც უფროდ ღირებური მხარე, მარად მათს გა-მარტებენს (კესპლუტაციას) სტედილობით. ცნადათ, ამ-

ბობენ ესენი, რომ მუშათა კითხვის გადაწყვეტა წათმოებინ თანხის და სხვა უოველგვარ მის საშუალებათა მუშებისათვის გადაცემით შეიძლება. როგორ და რა გზით? ამაში კი ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან მათი აზრით: ერთნი (ლეო-ბლანსი, ლასსალი) ფიქრობდნენ, რომ მუშებმა უნდა აზრუნონ ხელთ ივლინ ზოლიტიკური კავალენა სახელმწიფოს საჯანონმდებლო დაწესებულებებში და მათში შექმნილ ხელი შეუწყონ მწარმოებელ ამხანაგობათა დაარსებას სახელმწიფო კრედიტის საშუალებითა და, ბოლოს, როცა მუშები სასუბიტი შეიკნებენ ამ აზრს და მწარმოებელი ამხანაგობანი (სადღე შრომის და თანხსად მათი იქნება) მთავრებენ უვლან ევლა საქმეში უზირატისობას, მათნი თავის თავად თვით გადაწყვეტას სობოლოვად მუშათა კითხვათ. სულ სხვას ანობენ მეორე მიმართულების სოციალისტნი, მეტადრე თანამედროვე სოციალ-დემოკრატნი. ესენი ამტკიცებენ, რომ უოვლად შექმნილათა მწარმოებელ ამხანაგობათა უვლან და საუოველთათთ გავრცელება და არც შეესაბამება ეს მუშათა კითხვის ისტორიულ ევოლიუციასთ. ახლანდელი კანტალისტური წეს-წყობილება თვით შეიკნებ თავის განწყონის და დაშლის იმ ელემენტებს, რომლებიც ბოლოს მიგვიყვანს ისეთი საზოგადო შეურთება-მრეწველობამდის, სადაც წარმოების უოველი თანხს და საშუალებათვით საზოგადოების იქნება, ე. ი. თანამედროვე კანტალისტური წარმოების საქმე ისე მადისთ, რომ წერამდ მწარმოებელთ ჰელახავენ მისეილი მწარმოებელნი და ბოლოს დადება ისეთი დრო, რომ მუშები ევლან აიტანენ ამ მდირ-რინებოვან კანტალისტიკის ფართაშობას და მათნი ბურთი და მოვლანი უოველგვარ წარმოებათა და მათნი საშუალებათა თავის-თავად სულ მთლად მუშათა ხელში გადავათ!.. ჩუენი დროის ვალათთ, ამობენ ესენი, ხელი შეუწყონ კანტალისტური შეურთება-მრეწველობის ბროტესის აქტებს და მუშათა კლასის გაერთიანება-განვითარება-გაძლიერებასთ.

საუურადლებთა აკრთვე ეგრედ-წოდებელი სახელმწიფო სოციალიზმი, რომლის ბროტრამა შემუშავებულ იქნა გერმანიამ ტოდტომის და რ. შირისისგან. მათის ტკემით, მხანრქამ უნდა შეკვრას კავშირი მეოთხე წოდებისთან (ე. ი. მუშათა კლასთან), კანსადგუროს ბურჟუაზიას და განხროციელის სოციალისტური წეს-წყობილება წარმოების საშუალო ადგილი სოციალიზმის მისსენებულ თრ მიმართულებათა შორის უჭირავს ეგრედ-წოდებულ სოციალ-რეფორმატულ ანუ ისტორიკო-ტიკურ (ზნობობრივ) სვლას, რომელსაც ემხრობა უმეტესობა გერმანიის და ინგლისის თანამედროვე ეკონომისტთა. ესენი არ უარეოფენ ძირითად ელდაზნობის არსებულ ეკონომიურ წეს-წყობილებისს, მაგრამ აუდილებლად თხოვლობენ მიეცეს მუშებს იმდენი საშუალება, რომელიც სჭირათ მათის დადამანურის არსებობისათვის. უვლან ეს კი კანონმდებ-

ლობათ და თავისუფალ საზოგადო დაწესებულებათა დაარსებით შეიძლება, ამობენ ესენი. სხვანი უზირატისობას აძლევენ მუშებისგან თავის-ნებით დაარსებულ ასოციაციებს. ამის წარმომადგენელია ბრენტანო, რომელიც იცავს თასვის უვლებას კონკურენციისს, შრომისს, მრეწველობისს და განუსაზღვრელ კერძო საკუთრებისს. რადგანც, უოველი განუსაზღვრელ კერძო საკუთრებით სუსტია მრეწველ-მუშა ცალკედ აღებული, კაცილებით სუსტია მრეწველ-თან შედარებითათ, რისგამოც ადვილათ იხატება მწარმოებლისგან, ამიტომ, მუშები უნდა შეერთდნენ კავშირმად და მარტო ამ კავშირთა წარმომადგენლებმა უნდა იქონიონ საქმე მრეწველებთან და არც უოველმა მუშამ ცალკეო. ამ გზით ადვილათ შეიძლება სრული თანასწორობი და თანაბარი განდენი მუშები მრეწველ-კანტალისტიკითანათ. ზოგიერთნი ეკონომისტები და საზოგადო მოვლენი (მაგ. გოლიოკი, ლიუდლო, შულჩე-დელინი, რაიფიხენი) მუშათა კითხვის გადაწყვეტაში უზირატისობას აძლევენ დაარსებას და კავრცელებას საკრედიტო, მომხმარებელ, ამშენებელ და მწარმოებელ ამხანაგობათს. ამათის აზრით ევლან ასეთი დაწესებულებათა შექმნილების მუშებს საკუთარი თანხის გამაზოგავს, რომელიც თავის მხრით მისცემს მათ შექმნას დაწყოთ საკუთარი საქმე და ამ გვარად განდენი დამოუკიდებელ მწარმოებლებად.

დასასრულად, იხგლისა, სიფრანტეისა, გერმანიისა და სხვა ქვეყნებში ვრცელდება ქრისტიანული სოციალიზმის წარმომადგენელი-მიმდევარი, რომელიც ადგანს იმ აზრს, რომ მუშათა კითხვის გადაწყვეტა დამუარებულ უნდა იყოს დადამანის ზნობობრივ სრულ უოფსზე, ქველ-მოქმედ მდიდრებისგან დამრებისთვის და საზოგადოებისთვის სხვა და სხვა საქველ-მოქმედო დაწესებულებათა დაარსებაზე და სხვა. სოციალურ უბედურებათა აცდენა და მოსმობა შეიძლება არც რომელიმე კარკანის ძალათა ანუ კანონმდებლობითათ, არამედ მარტო დადამანის შინაგან მიმართულებათა ძირიან-თვლიანად გამოცვლითათ. როცა ამ გვარად დადამანები უფრო ზნობობრივნი და შეცნებულნი შეიქნებიან, მათნი თავის-თავად მოისი ზობა დღევანდელი ბრძოლა დამრობათ და მდიდართა ინტერესთა შორის, მოისიზობა უწრო-მასწოროთ სიმიდირის და ქონების განაწილება, მოისიზობა მუშათა მდგომარეობის უოველი ნაკლი და საზოგადოთ სიდატაკე, დადამანის უბედური მდგომარეობათ დასხლოებოთ ასეთის შეხედულობანი შორისს, ტომას იუზის, კინკლისს და სხვათა ინგლისში, შტეკერას (რომელმაც დაარსა ქრისტიანულ-სოციალური დანი მუშათა), გეტრეულერის და მუფანგასი გერმანიამო, ლამენესი სიფრანკეთში და სხვა.

ჩუენი აზრი. ჩუენის აზრით, მუშათა კითხვა ერთი ნაკვთკანია იმ კითხვის, რომელიც საზოგადოთ შეუკება მთელი კაცობრიობის და ერთა ბელს და ცხოვრებისს. ამიტომ, გურნება მუშათა კითხვისა იმ სურთო

კითხვის გარეშე, ისეთივე შეცდომა იქნებოდა, როგორც მთელი სხეულით ავთოფოფი ადამიანის მორჩენისთვის მარტო მისი რამდენიმე ასოს კურნება... მუშათა კითხვა იგივე მთელი კატობრიობისა და ცალკე ერთა ანსებობის კითხვას და ამიტომ უკვლავ ამითა გადაწყვეტაც უთუოდ მჭიდროდ უნდა იფოს ერთმანერთში შეკავშირებული, ე. ი., რამდენადც საჭირო და აუცილებელია ხალხთა წინსვლისთვის საზოგადო და კერძო უურადლება მიექმტეს საზოგადოების თვით-მართველობის მოწყობის განმტკიცებას, უფრო ადამიანის ზიარებების თავისუფლებას და ხელ-შეუხებლობას, სწავლა-აღზრდის განკარგებას და მის ფრცლად მოწყობას, მეურნეობა-მრეწველობის აფავებებსა და სხვა და სხვა, სწორეთ ასევე საჭიროა, და აუცილებელიც არა უკანასკნელი უურადლება მიექმტეს მუშათა კუთხვის განკარგება-გადაწყვეტასაც. ეს კი, როგორც ვსთქვით, სავსებით დამოკიდებულია მთელი კატობრიობისა და ერთა ბედისა და ცხოვრების საზოგადო განკარგება-გადაწყვეტაზედა. I, რადგანაც, რა სწავა არის, თუნდაც სა-მთხისისებურს მდგომარეობას. თავდაწითომუშებისსა თუ სხვა კითხვების გადაწყვეტაში, თუ კი დღეს და ხვალ მოვა რამდენიმე ძლიერი ერთ და დედა-ბუღიანთა ადგგვის დედა-მიწის ზურგიდამ... გაფრეთ კვალ და კვალ შეცნობრთა აზრს და ენახთ, თუ რა არის საჭირო საზოგადოთ ერისა და კატობრიობისა და კერძოთ მით უფრო ელემენტთა (მთავრობათა, თვით-მართველობათა, მუშათა კითხვისა, აღზრდისა და სხვათა) განკარგება-გადაწყვეტისთვის. მაგრამ ამასვედ შემიძღვ.

ივანე როსტომაშვილი.

ხანახალწლო ფიფქაფიზი

ქართველ ერს

კაცმა თუ თვისი არ იცის,
 მის სხვისი არრა არგია,—
 თვის თავის უცნობი კაც
 ამ ქვეყნის მეტი ბარგია.

ქართველ ინტელიგენციას

ვინც არ იცის თავის ქვეყნის
 მწუხარება, გულის წყალული,
 რა ნება აქვს—გაჭიოდეს:
 „მიყვარს ჩემი მე მამული!“

ქართველ ხალგაზღობას

ვინც თვის მიზნად დანისახა
 საპირადო წარჩინება,

იმას ელის მშობელ ერის!
 საზარელი განჩინება!..

ქართველი მოხელე

ვინც გამძღობს—მის ვმსახურებ,
 მისი ყმა ვარ ყურ-მოჭრილი,
 რას მიჭქვია დედა-ენა,
 სამშობლო და მის ტყვილი...

თავდა-ანაურობას

თუ გსურთ შევარჩეთ „თავადობა“,
 შრომის ველზე გამოზრდნდით,
 ქვეყნის ვარამს დაუკვირდით,
 ქვე-გონებით გამოზრწყინდით!..

სამდეველებს

ერთხელ მაინც მოიგონეთ
 წამებული მაცხოვარი!..

ახალგაზდა ქალებს

თქვენგან უნდა მიენიქოს
 ჩვენს ქვეყნას მომავალი,
 ვინძლო ღროით გამოფხიზლდეთ,
 გაახლოთ ქუჩის თვალი!..

ქართველს გლეხს

„კაცსა თუ ცოდნა არა აქვს,
 გასტანჯავს წუთი სოფელი“,
 შესაბრალია შენებრივ
 მუდამ ტანჯვაში მყოფელი!..

გურულებს

ნეტავი მას, ვინც სიმართლით
 და შეგნებით იმოქმედა!..

სამეკრელოს

სულს და გულსა გიშხამავენ
 მტერ-მოყვარე მეგობრები,
 იუღები წინაგმძღვრობენ,
 დასაბამით შენი მტრები,
 ვინძლო ღროით გონს მოგვო,
 მოიგონო წინაპრები!..

რატკელებსა და ქართლებს

ვინც სიცოცხლით ბრმა-ყრუდაა,
 ის სამარცს იახლოვებს,—

დროა, აწ კი გაიღვიძოთ
და მიჰბაძოთ თქვენს მეზობლებს.

კახელებს

მამა-პაპა ლალი გყავდათ,
რად არ ჰბაძავთ წინაბრებსა
და თქვენს სარჩო-საბადებელს
რისთვის ატანთ ტურა-მგლებსა?!

თუშ-ფშავ-სეესურებს

მთას მიკრულნო, შევარდენნო,
ნეტავ, როდის გაიღვიძებთ?
ახალ ძალით აღსდგებით, თუ
სამუდამით დაიძინებთ?

სომხებს

მეშურნობამ გავვაძწარა
თავიდანვე, — ყველას გვეჯერა;
დროა, ქუთას დაუფლაგდეთ,
ტკბილად ვიწყით ერთად მღერა.

იმერლებს და ამერლებს

შუღლმა, მტრობამ დაანგლა
იმ თავითვე თქვენი კერა...

ჭუთაისის ინტელაგენტებს

ჰერი, ბიკო, მარდათ ბიკო,
გავხაროთ მტრისა თვალი,
ერთმანეთსა გადავამტერიოთ
მტრის სამუსრი ჩვენი ხმალი!..

ქართველთა მეწიგნე-კამომცემლებს

„თუ სახელის შოვნა გინდათ,
დღეს ისეთი ნერგი დარგეთ,
რომ ხვალემა ასე გითხრათ:
ნანერგითა თქვენით მარგეთ!“

სტუდენტებს

ნუ თუ არ იცით, რომ ქვეყნად
ქამა-სმის ვარდა რამეა?
ბანქოს თამაშს და ქეიფში
უნდა ათენოთ ლამეა?

„წ. კ. კამ. ს.ზ.“-ს

ეკლიანი გაქვს გზა-კვალი, —
დაგიმადლებს მომავალი.

ფილჭარმონიულ ს.ზ.

შურმა, მტრობამ, შენ-ჩემობამ
მიწა უნდა გავგითხაროს,

დაგვმარბოს ჯერ უშობელი,
სამძიმარი დაგვამღეროს.

სამეურნეო ბანკი

ხელ-მოკლეთა დასახმარად,
მართალია, სახელით ვარ,
ნამდვილად კი დასახრავად
ბატონ მდიდრებს მე ვახლავარ.

ნ. ცხვედაძეს

ეცადე, დიდსა შენობას
უფლებაც დაჰყვეს დიდა,
თუ გინდა ჩვენ-ა შევითათვის
შეიქმნე გზა და ხილია!..

ი. გოგებაშვილს

მეტი რა გითხრა, გელირსოს
დღედადენისა გაფურჩქენა.

აკაკის

ნეტავი მას, ვინც თვის მიზანს
მთელს სიცოცხლეს მტკიცედ მისდევს,
მას სწამს მხოლოდ თვის ქვეყნა,
სხვა არაფერს არ დადიევს.

ნ. ნაკვალაძე

რაც აქამდე ვიქადაგე სიტყვითა,
შევასრულებ იმას ახლა საქმითა!..

ივ. გამოსთელს და აშხ.

კვალად ბნელია და ზამთარი
ისევ ისე სახსარს ჰყინავს,
სიშარტლისა მოტრფიალევ,
მიოხარ, ნეტავ რისთვის გძინავს?!

აღ. ჟაბადარი

„მე ვარ და ჩემი გაზეთი,
გამთენებელი ღამისა, ..
რაიცა მე არ შემამეკობს,
ღირსი იმ არის „რამისა“!“

ძმთა ზუბალაშვილებს

„რასაცა ვასცემთ თქვენია,
რაც არა დაკარგულია“, —
კურთხეულ იყოს მარადის
თქვენი მშობელის სულია!

ზ. ჭიჭინაძეს

პაწაწინა ფუტკარივით
დაბტი, დარბი — სად არ გინდა...

ყვავილების წვენს აგროვებ,
რომ გაკეთდეს თაფლი წმინდა.

განდგეილი

მგოსნის ჩანგი, საამური,
კორექტურას ვანაცვალე!

ს. ქვარაძე

„მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს ვმსახურებდე“,
—ვინძლო, ძმავო, სიკვდილამდე
შენს მიზანს არ გადასცულდე!

ზ ა ნ გ ი

იმიტომ ვარ ზანგი—
ყველას მოვსცხო ჟანგი.

ზოგაერთა ქართ. მოდგაწე
ძილი, დოში, არტალა
მოგვთავაზუე ჩქარ-ჩქარა!..

სამეგრელოდან გამოსულ მწკრელებს
(ლუტუ მეგრელს, ვ. ვუნიას და სხ.)

თქვენს მშებსა რწმენას უღობვენ,
როდის-ღა დასძრავთ ენასა... .

ვ. აბაშიძე

ნეტავ, თუ ღმერთი მალირსებს
ქართული სცენის მოწყობას?
—რად არ მიჰყვები მცხოვანი,
ახალგაზღვების გაწართობას!..

ქაიყებს

ვინც თვის თავს ვერ უმკურნალებს,
იგი როგორ მიმკურნალებს...

„ტნ. ფურც.“ კრიტიკოსები

სუყველაყას მიტომ ვლანძღავთ,
რომ სახელი მოვიპოვით;
როდი ვსცდილობთ, ნაწერებში
რამ ღირსება ჩვენ ვიპოვით.

„იფურია“-ს

გაიღვიძე, გაიპართე
და სენიას ემსახურე,
თუ არა და შენი კარი
სამუდამოდ შეიხურე.

„ტნ. ფურც.“-ი

ააშენოს ქვეყნის პრესა,
მათ ცნობებით ვიბერებდი,

„ხალხს ჰგონია მე ვმუშაობ“,
არა, სხვისით ვიკვებები.

„მოამბე“

ზამთრის პირზე დავმსხვილდები
და ზაფხულში დავმქლევდები,
თარგმანებით შევსებულნი
მკითხველებთან ვიგზავნები.

„მოგზაურ“-ს

თუ გსურს ხალხის სამსახური,
გახდი ჩაგრულთ თანამგზავრი,
ახალს კვალზე გამობრძანდი,
განგვიქარვე გულის ჯავრი:
ჩაგრულსა და დამჩაგრულსა
განუჩინე სწორე მსჯავრი.

„ჭუჭილ“-ს

ეკადე, რომ შენვე ნახო
შენი კარგი მოსავალი.

„ნაკადულს“

პატარა ხარ, გიზრდები,
უკეთესად დამშვენდები,
თუ უარპყაუ ხათრს და მასთან
უღირს ნაწერთ ასცილდები.

ქუთაისი

ქვეყანა და ქვეყნის საქმე
მე არ მიღირს გროში ფული,
აღვოკატებს გავაზრავლებ—
ამოხუთონ დევნულთ სული.

ბათუმს

წარმოება დიდი გაქვს,
მაგრამ ნეტავ ვის მიაქვს?

გ თ რ ი

ნურვინ თიქრობს, რომ ქალაქად გარდიქცე,
რჩევისამებრ შევიცვლო წებები!—
ლიახვ-წუშპით და მტკვრით უნდა დავიქცე,
იმ-ტომ რ-მ... არ მწყალობენ „ჩიღენები“...

ფ თ ს

ნეტავი შენ, თუ თავთან
ფეხებიცა კარგი გაქვს
და შენს სარჩო-საბაღსა
თუ გარეშე არა ხრავს.

სიღნაღი

ტყუილია, მე ქალაქი არა ვარ,
სოფელივით უკან უკან მივდივარ.

თელავა

აღთქმა დავდე: არ წაიღე მე წაწა,
რადგან ჩემში შურს და მტრობას აქვს ბინა...

ს უ ხ უ მ ს

ნეტავ როდის გვიღრსება
შენ პატრონი რივიანი?

ფხურგეთს

შენი საქმენი წინ არ მიდიან,—
ნეტავ ქალაქი რისთვისა გქვიან?

ბ ა ქ ო

ვინც თვის ოფლით მაკეთებს—მე იმას სულ არ
ვაძლობ:
ბატონებსა ვახლავარ, მუშა ხალხს კი ტყავს ვაძ
რობ.

ბ უ რ ი ა

ძმობა, ერთობა, თანასწორობა,—
უსამართლოვას ბრძოლა, დამხობა?..

შეკვლე

ა დ ა მ ი ა ნ ს

ჰხედავ, ვარდი გაფურჩქნლია,
სუნსა ჰუენავეს არე-მარეს,
მზის სხივები, მთვარის შუქი,
შეამკობენ ყოველ მხარეს;
ფრინველები თავისუფლად
სტკბებიან ამ მშვენიერებით,
პირუტყვები, უენონი,
მოიღებენ ველ-მინდვრებით!..

**

და შენ, ჰეყენის სიამაყევე,
ადამის ძევე, დღეს გვემულო,
შებორკილო, მომისგანვე
უნუგემოთ დატანჯულო!
ნუ თუ აღარ გაიღვიძებ,
საცოდავად წამებულო,
რომ შენს თავსა უბატრონო,
შევბა იგრძნო, ინეტარო!..

აზიქ

5 იანვარი 1905 წ.

მ მ ხ ს ი მ რ მ ბ ა.

მეხსიერება, როგორც ეს უკვე შეურყეველ
აზრად არის ცნობილი პსიხო-ფიზიოლოგიაში, არ
შეადგენს განსაკუთრებით ნიქსა, უკეთ რომ ვსთქ-
ვათ, იგი რეალური რამე კი არ არის, არამედ ორ-

განიული თვისებაა კაცის ნერვების სისტემისა; ეს
თვისება კი იმაში მდგომარეობს, რომ კაცის ნერ-
ვები იღებენ, ინახავენ და სხვა და-სხვა პირობების
ზედგავლენით აღადგენენ ყველა იმ შთაბეჭდილე-
ბებს, რომელთაც დაუტოვებიათ მათზე (ნერვებზე)
კვალი. რადგანაც ერთი და იგივე შთაბეჭდილება
ყოველ კაცის ნერვების სისტემაზე ერთნაირათ არ
მოქმედობს და არც ერთნაირის ძლიერებით აღი-
ბეჭდება მასში, ამის გამო ზოგნი საუკეთესოთ იხ-
სომებენ საგნის გარგეან ფორმას (შხატურები), ზოგ-
ნი ადვილათ სწავლობენ ენებს (ლინგვისტები), ზოგ-
ნი—მელოდიებს (კომპოზიტორები) და სხ. აქედამ
აშკარათა სჩანს, რომ მეხსიერება ერთი არა ყოფი-
ლა. არის მეხსიერება მხედველობითი, მსმენელო-
ბითი, მოძრაობითი, შეხებითი და სხვა. ჩვენ აქ
ფენომენალურ (არა-ჩვეულებრივ) მეხსიერებაზე
გვაქვს ლაპარაკი და არა საშუალოზე: პირველის
შექმნა არ ძალუძს აღზრდას, ხოლო დაყოლილი
თვისების განვითარება-გამაგრება-კი შესაძლებელია
ვარჯიშობით. შრომა და ხისტემატიური ვარჯიშო-
ბა ხელს უწყობენ ნიქის განვითარებას; მის გაში-
ნაარსებას, თუმცა-კი ნიქის რაოდენობას და მის
სიღრმე-სიღიადეს თითქმის რო ვერასა ჰმატებენ.
პროფესორი სკვორცოვი ამბობს, რომ კაცის ქეკუა
მიავაგეს ნათელს, რომელიც შეუქსა ჰვენს რა საგ-
ნებს, თვით არ მატულობსო. გონება რომ იზრდე-
ბოდეს სწავლის ზედგავლენით, მაშინ ეხლანდელი
საშუალო განათლების კაც-კი გაცილებით უფრო
ქვიანი და გონიერი იქნებოდა საბერძნეთის გამო-
ჩენილ ფილოსოფოსებზე, მაგრამ კაცობრიობა
ეხლაც განცვიფრებაშია პლატონისა, სოკრატისა
და არისტოტელის აზრთა აღმაფრენით და მა-
თის სიღრმით. ცოდნა კაცის გონებას მხოლოდ
შეძლებას აძლევს ახსნას ცხოვრების სხვა და სხვა
მოვლენანი განსაზღვრულ დარგებში. გამოჩენილი
მათემატიკოსი ნიუტონი მეტად სუსტს და მასთან
ვიწრო ფანტატიკურ მსჯელობას იჩენდა სარწმუნოე-
ბის შესახებ (მხოლოდ კათოლიკენი ცხოვდებიაწო),
რის მიზეზიც, რასაკვირველია, საგნის უცოდინა-
რობა იყო და არა გონების სისუსტე.

დაუზბრუნდეთ ჩვენს საგანს. როგორც უკვე
ვსთქვით, მეხსიერება არ არის ერთი მთელი რამ,
იგი არ წარმოადგენს ცალკე ნიქსა. ამის დასასა-
ბუთებლად მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს: ტვი-
ნის სხვა და სხვა პატოლოლიური ცვლილებანი
(უფრო კი ციება, როგორც ამბობს რიბო) გამო-
იწვევენ მეხსიერის მხოლოდ რომელსამე მხარის
ზიანს, მაგ.: ზოგი ივიწყებს ლაპარაკს, თუმცა-კი
სალაპარაკო ორგანონი საღი აქვს (aphasia); ზოგი

